



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4924029001

თარიღი:29/01/2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ლოჯისტიკის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ტარიელ ჭეიშვილის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლის პირველი პუნქტისა, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 ივნისის #ბ49.49231713 ბრძანების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **ტარიელ ჭეიშვილი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ლოჯისტიკის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მივლინებული იქნეს ლატვიაში, ქალაქ რიგაში, 8 დღით, 2024 წლის 31 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით, ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება, დროებით დაეკისროს საკრებულოს აპარატის ლოჯისტიკის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ბექა იობიძეს.
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ბექა იობიძისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში სახელფასო დანამატის გაცემა.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

